



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №
2022 წლის აგვისტო
ქ.გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 16/11/2017, 010260020.35.148.016405) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-9 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | |
|---|--------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|---|------|
| 9 | III რანგი (უფროსი სპეციალისტი) | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | უფროსი სპეციალისტის თანამდებობა | 1 | 1210 |
|---|--------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|---|------|

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-17 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | |
|----|--------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|---|------|
| 17 | III რანგი (უფროსი სპეციალისტი) | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | უფროსი სპეციალისტის თანამდებობა | 3 | 1210 |
|----|--------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|---|------|

| | | | | | |
|----|--------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|---|------|
| 80 | III რანგი (უფროსი სპეციალისტი) | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | უფროსი სპეციალისტის თანამდებობა | 1 | 1210 |
|----|--------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|---|------|

ნ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 85-ე გრაფა ამოღებულ იქნას.

ო) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 89-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | |
|----|--------------------------------------|---|---------------------------------------|---|-----|
| 89 | III რანგი (უფროსი სპეციალისტი) | III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | უფროსი სპეციალისტის თანამდებობა | 1 | 990 |
|----|--------------------------------------|---|---------------------------------------|---|-----|

პ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 91-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | |
|----|--------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|---|------|
| 91 | III რანგი (უფროსი სპეციალისტი) | I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | უფროსი სპეციალისტის თანამდებობა | 1 | 1210 |
|----|--------------------------------------|---------------------------------------|---------------------------------------|---|------|

ჟ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 92-ე და 93-ე გრაფებს შორის არსებული გრაფა ამოღებულ იქნას.

რ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 93-ე - 96-ე გრაფები ამოღებულ იქნას.

ს) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 109-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | |
|-----|--------------------------------------|---|---------------------------------------|---|-----|
| 109 | III რანგი (უფროსი სპეციალისტი) | III კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | უფროსი სპეციალისტის თანამდებობა | 1 | 990 |
|-----|--------------------------------------|---|---------------------------------------|---|-----|

ტ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 111-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| | | | | | |
|-----|--------------------------------------|--------------------------------------|-----------------------------------|---|-----|
| 111 | IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი) | IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი) | IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი) | 2 | 825 |
|-----|--------------------------------------|--------------------------------------|-----------------------------------|---|-----|

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 9 სექტემბერს.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

სამართლებრივი აქტის პროექტის განმარტებითი ბარათი
„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა
თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის
საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14
ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

საჯარო დაწესებულებები მუდმივად განიცდიან სხვადასხვა ცვლილებებს, იმის გათვალისწინებით, თუ რა გამოწვევებზე საპასუხოდ უწევს მას ფუნქციონირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია ბუნებრივი პროცესია, რაც საჯარო მმართველობის ეფექტურად განხორციელებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა. საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ა) საჯარო სამსახურის ინტერესები; ბ) სისტემური მმართველობის უზრუნველყოფა; გ) ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა. საჯარო სამსახურის ინტერესები სრულად ეფუძნება კანონით დაწესებულ პრინციპებსა და მიმართულია მათ სრულყოფილ და განუხრელ შესრულებაზე. შესაბამისად რეორგანიზაცია, მიზნად უნდა ისახავდეს, სწორედ, აღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში უკეთ გატარებას და შესრულებას. სისტემური მმართველობის უზრუნველყოფა საჯარო სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც თავის თავში გულისხმობს საჯარო დაწესებულების ფუნქციების, სტრუქტურული ერთეულების და ადამიანური რესურსების ისეთ გადანაწილებას, რაც უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულების მიერ თავისი ამოცანების სრულყოფილად შესრულებას. არასისტემურობა მმართველობის განხორციელებაში, დიფერენცირებული და განსხვავებული მმართველობითი სტანდარტები, გაორებული ფუნქციები და ფუნქციათა გადაფარვები ხელს უშლის საჯარო მმართველობის სისტემურობას და, შესაბამისად, საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურ ხარჯვასაც იწვევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანი – სისტემური მმართველობის უზრუნველყოფა – უმნიშვნელოვანესი მოცემულობაა საჯარო დაწესებულებების რეორგანიზაციისა. ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი იმ მნიშვნელოვან პრინციპთაგანი, რომლის მიზანია, ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც მერიტოკრატიულ პრინციპზე იქნება დაფუძნებული და უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის წახალისებას, ხელშეწყობასა და დაფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სწორედ, ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განხორციელდეს საჯარო დაწესებულებებში ისეთი სამართლებრივი ღონისძიებები, როგორცაა მათი რეორგანიზაცია.

„გორის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 9 ივნისის №20.202216023 ბრძანებით გორის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, დაიწყო რეორგანიზაცია გორის მუნიციპალიტეტის მერიაში. „გორის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაგეგმვისა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრის შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 8 ივლისის №20.202218928 ბრძანებით განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაგეგმვა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის განსაზღვრა. მიმდინარე რეორგანიზაცია შეესაბამება გორის მუნიციპალიტეტის ინტერესებს და, ამავე დროს, გაუმართლებლად არ ხელყოფს დასაქმებულთა კანონიერ უფლებებს. მიმდინარე რეორგანიზაცია, პრაქტიკაში არსებული მდგომარეობის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, ეყრდნობა გარკვეულ გათვლებს, რეორგანიზაციამდე არსებული სტრუქტურისა და მომავალი სტრუქტურის შედარებას, რეორგანიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეების განსაზღვრას.

„პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის №199 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის

თანახმად, საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების ცვლილებების მომზადებისა და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავების ეტაპი გრძელდება დაგეგმვის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში. ამავე წესის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, თუ საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციას თან სდევს საჯარო დაწესებულების საშტატო რიცხოვნობის შემცირება, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, რეორგანიზაციის დასრულებამდე ერთი თვით ადრე განსაზღვროს თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა სია და აცნობოს მათ რეორგანიზაციის შესაძლო შედეგები. ვინაიდან გორის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაგეგმვის ეტაპი დასრულდა 2022 წლის 9 ივლისს, ხოლო რეორგანიზაცია დასრულდება მისი დაწყებიდან სამი თვის გასვლისას - 2022 წლის 9 სექტემბერს, ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, საჭიროა 2022 წლის 9 აგვისტომდე შემუშავებულ იქნას შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცვლილებების პროექტები და რეორგანიზაციის შედეგად შესაქმნელი ორგანიზაციული სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის პროექტი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში საკრებულოს სხვა დადგენილებების პროექტები და წარდგენილ იქნას გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის განსახილველად.

ბ) პროექტის მიღების მიზანი:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფა

გ) პროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით:

ა) ადმინისტრაციულ და შესყიდვების სამსახურში:

ა.ა) გაუქმდება საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება, მისი ყველა საშტატო ერთეულის ჩათვლით;

ა.ბ) შესყიდვების განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) ვაკანტური პოზიცია;

ა.გ) საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 2 (ორი) პოზიცია;

ა.დ) ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია;

ა.ე) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და შრომის უსაფრთხოების დაცვის განყოფილებაში გაუქმდება მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია;

ა.ვ) იურიდიულ განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) ვაკანტური პოზიცია;

ა.ზ) მერის წარმომადგენლების და წარმომადგენლების ასისტენტების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბიუჯეტის შესრულების კონტროლის განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია;

გ) ეკონომიკის სამსახურის ქონების განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) ვაკანტური პოზიცია;

დ) სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილებას დაემატება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია;

ე) განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურში:

ე.ა) განათლების განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია;

ე.ბ) კულტურის განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია;

ე.გ) ახალგაზრდულ განყოფილებაში გაუქმდება მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია, მეოთხე რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია და დაემატება მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია;

ე.დ) სპორტის განყოფილებაში გაუქმდება მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია;

ვ) სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში გაუქმდება მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია და მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 (ერთი) პოზიცია.

2. პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღების შემთხვევაში ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ყოველთვიურად შემცირდება თვეში 19415 ლარის, ხოლო ყველწლიურად 232980 ლარის ოდენობით.

3. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე დადგენილების პროექტის ზეგავლენის შეფასება

დადგენილების პროექტის დამტკიცება დადებით ზეგავლენას მოახდენს ბავშვების უფლებრივ მდგომარეობაზე.

4. პროექტის მომზადების პროცესი

ა) პროექტის ავტორი:

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი ალექსანდრე თარხნიშვილი

ბ) პროექტის ინიციატორი:

გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი

1 აგვისტო, 2022 წ.